

ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო

საზედამხედველო კომიტეტის ანგარიში
ანგარიშგების პერიოდი: 2017 წლის ივნისი - ნოემბერი

შესავალი:

ანგარიში ასახავს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს საზედამხედველო კომიტეტის (სკ) მიერ 2017 წლის ივნისი- ნოემბრის პერიოდში განხორციელებულ აქტივობებს.

აღნიშნული მოიცავს შემდეგს:

- 2017 წლის 7 აგვისტოს ჩატარებული ქსს-ს 87-ე სხდომა
- 2017 წლის 17 ივნისს განხორციელებული ვიზიტი ტუბერკულოზის მობილურ ამბულატორიაში
- 2017 წლის 25 ოქტომბერს გამართული საზედამხედველო კომიტეტის შეხვედრა
- 2017 წლის 24 ნოემბერს ჩატარებული ქსს-ს 88-ე სხდომა

ქსს-ს სხდომები

ანგარიშგების პერიოდში გაიმართა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ორი სხდომა (87-ე სხდომა, 2017 წლის 7 აგვისტო, 88-ე სხდომა, 2017 წლის 24 ნოემბერი).

87-ე სხდომაზე განხილულ იქნა გლობალური ფონდის გრანტების მიმდინარე სტატუსი. საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარემ წარუდგინა აუდიტორიას საზედამხედველო კომიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობის ანგარიში, დეშორდიდან გამომდინარე რეკომენდაციები და და 2017 წლის 17 ივნისს ტუბერკულოზს მობილურ ამბულატორიაში განხორციელებული ვიზიტის შედეგები. 88-ე სხდომაზე წარდგენილ იქნა პროგრამების განხორციელების სტატუსი, მათ შორის დაგეგმილი რეალოკაციის/რეპროგრამირების აქტივობები.

საზედამხედველო კომიტეტის ვიზიტი

2017 წლის 17 ივნისს საზედამხედველო კომიტეტმა განახორციელა ვიზიტი ტბ მობილურ ამბულატორიაში.

ვიზიტის ამოცანები:

1. გლობალური ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე მობილური ამბულატორიის საპილოტე პროექტის ახლოს გაცნობა;
2. ანტიტუბერკულოზური მკურნალობის სერვისის მიწოდების მონიტორინგი;

3. პროგრამის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი შესაძლო გამოწვევების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების დასახვა.

მეთოდოლოგია:

- გასაუბრება საპილოტე პროექტის განხორციელებაში ჩართულ თანამშრომლებთან;
- გასაუბრება პროგრამების ბენეფიციარებთან.

საზედამხედველო კომიტეტის შეხვედრა

2017 წლის 25 ოქტომბერს გაიმართა საზედამხედველო კომიტეტის შეხვედრა. შეხვედრის მსვლელობისას განხილულ იქნა აივ გრანტის მე-4 პერიოდის და ტბ გრანტის მე-2 პერიოდის დეშბორდები.

გარდა ზემოთ აღწერილი აქტივობებისა 17 ნოემბერს საზედამხედველო კომიტეტის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს შეხვედრაში გლობალური ფონდის კონსულტანტებთან. მისიის მიზანი იყო თბილისსა და ბათუმში ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებისა და მსმ-ებისათვის მიწოდებული პრევენციული სერვისების შეფასება. 9 ნოემბერს გაიმართა საზედამხედველო კომიტეტის წევრების და გლობალური ფონდის პორტფოლიო მენეჯერის, ქ-ნ გიონგივერ ჯაკაბის შეხვედრა. 21 ნოემბერს საზედამხედველო კომიტეტი და ძირითადი მიმღები შეხვდა EHG კონსულტანტებს. შეხვედრის მსვლელობისას განხილულ იქნა ახალი დეშბორდი.

2017 წლის 28 დეკემბერი

ანგარიში მოამზადა ქსს-ს სამდივნომ

ანგარიში თარგმნა ქსს-ს სამდივნომ